დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2019 წლის 25 დეკემბრის N 02-09/170 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს
კონკურსს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სამჯერადი საჯარო გადაცემის
(სატელევიზიო ეთერის მეშვეობით) ლიცენზიის შესყიდვაზე

1. მხატვრული ფილმი - 110 (ას ათი) ერთეული

ლიცენზიის ღირებულება - ერთი ერთეულისთვის 1900 (ათას ცხრაასი) ლარი.

კრიტერიუმები:

- ფილმის შექმნაში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ორ ან მეტ კინემატოგრაფიაში მოღვაწე ცნობილ ადამიანს;
- ფილმს მოპოვებული უნდა ჰქონდეს სხვადასხვა მსოფლიო ფესტივალ(ებ)ის ჯილდო(ები);
- ფილმს გაქირავების შედეგად მოპოვებული უნდა ჰქოდეს 1(ერთი) მილიონ დოლარზე მეტი;
- ფილმის ჟანრი: სათავგადასავლო, კომედია, საოჯახო, მელოდრამა, ისტორიული, დრამა, დეტექტივი;
- ფილმის გადაღების თარიღი: 2005-2019 წწ.
- ფილმი გახმოვანებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ორ ხმაში

2. ანიმაციური ფილმი - 45 (ორმოცდახუთი) საათი.

ლიცენზიის ღირებულება - 1468 (ათას ოთხას სამოცდარვა) ლარი

კრიტერიუმები:

- ჟანრი: შემეცნებითი, სათავგადასავლო, ფანტასტიკა.
- მულტსერიალი - სერიების რაოდენობა 20-25 სერია. თითოეული სერიის ხანგრძლივობა 15-25 წუთი; ან/და
- ანიმაციური ფილმი - თითოეული ფილმის ხანგრძლივობა - 40-50 წუთი;
- ფილმების გადაღების თარიღი 2010-2018 წწ.
- გახმოვანებული უნდა იყოს ქართულ ენაზე,ორ ხმაში.

3. არანაკლებ სამი მინი სერიალი - ჯამში 60 (სამოცი სერია)
ლიცენზიის ღირებულება: ერთი სერია - 1738 (ათას შვიდა ოცდათვრამეტი) ლარი.

კრიტერიუმები:

- წარმოშობის ქვეყნა : აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი;
- ჟანრი: მელოდრამა, დრამა, დეტექტივი;
- სერიალის გადაღება უნდა იყოს დასრულებული.
- გადაღების თარიღი - 2010-2019 წწ.
- სერიალი არ უნდა იყოს განთავსებულია არც ერთ ქართულ სატელევიზიო არხზე;

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება მაუწყებლის დირექტორის სახელზე, კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ქვემოთ მითითებული დოკუმენტები/მასალა.
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- ქართულ ენაზე, ორ ხმაში გამოხმოვანების ნიმუშები მხატვრული ფილმისთვის, ანიმაციისთვის, მინი სერიალისთვის. ნიმუში წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური ფორმის CD დისკით ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით ან/და განთავსებული უნდა იყოს ინტერნეტ სივრცეში და კომისიას უნდა ჰქონდეს მისი ჩამოტვირთვის შესაძლებლობა(ინტერნეტ მისამართი მიეთითება განცხადებაში).
- არანაკლებ 110 (ას ათი) მხატვრული ფილმის ჩამონათვალი, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე საკონკურსო განცხადებაში მითითებულ მოთხოვნებს, რომლიდანაც მაუწყებელს ექნება შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი ფილმები.
- არანაკლებ 45 (ორმოცდახუთი) სააათის საერთო ხანგრძლივობის მულტსერიალი ან/და ანიმაციური ფილმი, რომლიდანაც მაუწყებელს ექნება შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი მულტსერიალი ან/და ანიმაციური ფილმი.
- არანაკლებ სამი მინისერიალი - სერიების საერთო რაოდენობით 60 (სამოცი) , რომლიდანაც მაუწყებელს ექნება შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი მინი სერიალ(ებ)ი.

- შემოთავაზებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სატელევიზიო ეთერში **2020 წლის 01 თებერვლიდან 2021 წლის 01 მარტამდე სამჯერადი საჯარო გადაცემის** ლიცენზიის გაცემის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს აღნიშნული ლიცენზიის გაცემის უფლება მოპოვებული არ აქვს განცხადების წარმოდგენის მომენტისათვის, იგი ვალდებული იქნება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

კონკურსი მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

კონკურსში შესაძლებელია გმაოვლინდეს ერთზე მეტი გამარჯვებული, თუ ერთზე მეტი განმცხადებელი აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს

კონკურსში შესაძლებელია გმაოვლინდეს ერთზე მეტი გამარჯვებული, თუ ერთზე მეტი განმცხადებელი დააკმაყფილებს საკონკურსო პირობებს.
კონკურსში რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენისას, საკონკურსო კომისია აწარმოებს გამარჯვებულებთან მოლაპარაკებას კონკურსში მონაწილეების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის/მომსახურების შერჩევის მიზნით. პროდუქციის/მომსახურების შერჩევისას კომისია ხელმძღვანელობს მაუწყებლის ინტერესების, მათ შორის, ფინანსური რესურსის გათვალისწინებით;

განცხადების წარმოდგენის ვადები:
განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2019 წლის 25 დეკემბერი .
განცხადების მიღების დასრულების თარიღი: 2020 წლის 09 იანვარი (დღის 24:00 საათი)

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გამოვლენა

ე)გამარჯვებულთან მოლაპარაკების წარმოება

ვ) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:
1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არა სახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზედ ართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 ან ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.
3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საკონტაქტო პირი:
ინგა გოგოლიშვილი
ტელ: 591980520